ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის სხდომის

ოქმი N 1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 28 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 26.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ
2. დეკანის ანგარიშის შესახებ
3. გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების დარგობრივი კომისიის დამტკიცების შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - 2019 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1). შენიშვნები არ შემოსულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2019 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის მიმდინარე ვარიანტის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2019 წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - დეკანის ანგარიშის შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მიერ 2018 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 2). ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა კიდევ ერთხელ მოკლედ ისაუბრა თუ რა სამუშაოები შესრულდა 2018 წელს და მათ შორის რომელი იყო აქტუალური.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.ელიზბარაშვილმა. მან დეკანს შეკითხვა მისცა ტაბახმელაში სანაკრძალო ტერიტორიის გამოყოფასთან დაკავშირებით. ბატონმა რამაზმა უპასუხა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შესულია განცხადება თსუ კანცლერთან და იგი დაეთანხმა განცხადებაში აღნიშნულ წინადადებას საკითხის მოსაგვარებლად საუნივერსიტეტო

კომისიის შექმნის თაობაზე. ამასთან, ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, თუ კომისიას უხელმძღვანელებს პროფესორი ნ.ელიზბარაშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფაკულტეტის დეკანის ანგარიშის შეფასების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დადებითი შეფასების მომხრე 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის ანგარიში შეფასდეს დადებითად (იხ. დანართი 2).

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების დარგობრივი კომისიის დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძე. მან გასაუბრების კომისიის წევრებად წარადგინა: პროფ. ლია მაჭავარიანი - თავმჯდომარე, პროფ. რამაზ გახოკიძე, პროფ. არნოლდ გეგეჭკორი, ემერიტუსი სიმონ წერეთელი, ასოც.პროფ. გურამ ქუთელია, ასოც.პროფ. ლამზირა ლაღიძე და ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების დარგობრივი კომისიის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გასაუბრების დარგობრივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. ლია მაჭავარიანი -თავმჯდომარე;
2. პროფ. რამაზ გახოკიძე;
3. პროფ. არნოლდ გეგეჭკორი;
4. ემერიტუსი სიმონ წერეთელი;
5. ასოც.პროფ. გურამ ქუთელია;
6. ასოც.პროფ. ლამზირა ლაღიძე;
7. ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ განსახილველად გამოიტანა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. მათ შორის:

ა) ცვლილებები ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებში:

I. ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“. სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ცვლილებები შეეხება 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ მაგისტრანტებს (იხ. დანართი 3 თანდართული სილაბუსებით).

II. გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად წარდგენილ იქნა მიმართულების ასისტენტ პროფესორი, ბმდ. ნინო არჩვაძე ნაცვლად სულხან ცაგარელისა.

აზრი გამოთქვეს: მეორე საკითხთან დაკავშირებით იმსჯელეს საბჭოს წევრებმა და შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ ასისტენტ პროფესორი, გამონაკლისის წესით, შეიძლება გახდეს პროგრამის თანახელმძღვანელი. საჭიროა ეს გატანილ იქნას აკადებიურ საბჭოზე და აკადემიურმა საბჭომ მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

სხდომის თვმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხები.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

I. საბაკალავრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ შევიდეს დანართი 3-ში წარმოდგენილი ცვლილებები, ამასთან სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ცვლილებები შეეხოს 2018-2019 სასწავლო წლიდან ჩარიცხულ მაგისტრანტებს (იხ. დანართი 3 თანდართული სილაბუსებით).

II. გამოყენებითი ბიომეცნიერებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელად წარდგენილ იქნას მიმართულების ასისტენტ პროფესორი, ბმდ. ნინო არჩვაძე ნაცვლად სულხან ცაგარელისა. საკითხი შესაბამისი დასაბუთებით გატანილ იქნას აკადებიურ საბჭოზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ბ) ცვლილებები მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაში. მათემატიკის დეპარტამენტიდან შემოსული წერილის საფუძველზე, ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს გააცნო მათემატიკის არსებულ საბაკალავრო პროგრამაში შესატანი ცვლილებები (იხ. დანართი 4). კერძოდ:

I. დაემატოს ორი არჩევითი საგანი საბაკალავრო პროგრამის ბოლოში (ეკონომიკური ბლოკის შემდეგ) დაპროგრამების ბლოკის სახით;

II. პროგრამის ხელმძღვანელებიდან პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე ჩანაცვლდეს პროფესორ მალხაზ ბაკურაძით.

III. პროგრამის ხელმძღვანელების სიაში დაემატოს პროფესორი ომარ ფურთუხია.

IV. დასამტკიცებლად აგრეთვე წარმოდგენილია 60 კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა “მათემატიკა” (მინორ პროგრამა), რომელიც განკუთვნილია სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

საბჭოს თვმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები (იხ. დანართი 4):

I. დაემატოს ორი არჩევითი საგანი საბაკალავრო პროგრამის ბოლოში (ეკონომიკური ბლოკის შემდეგ) დაპროგრამების ბლოკის სახით;

II. პროგრამის ხელმძღვანელებიდან პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე ჩანაცვლდეს პროფესორ მალხაზ ბაკურაძით.

III. პროგრამის ხელმძღვანელების სიაში დაემატოს პროფესორი ომარ ფურთუხია.

IV. დამტკიცდეს 60 კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა "მათემატიკა" (მინორ პროგრამა), რომელიც განკუთვნილია სხვა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის.

გ) ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაში. კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტიდან შემოსული წერილის საფუძველზე, ქალბატონმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ტექნიკური ხასიათის ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება" (იხ. დანართი 5), რომელიც შეთანხმებული იყო ABET კონსულტანტთან გასულ წელს მისი ვიზიტის დროს და სრულადაა ასახული პროგრამის ინგლისურენოვან თარგმანში. კერძოდ:

I. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში**: ამოღებულ იქნა დაშვების წინაპირობის მესამე ეტაპი (დადებითი შეფასება საბაკალვრო პროგრამის ერთდროულად სამ საგანში ...).

II. **საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი**: გახდა მანანა ხაჩიძე (კობა გელაშვილის ნაცვლად).

III. შეიცვალა პუნქტები **პროგრამის მიზანი** და **შედეგების აღწერა**: ABET დარგობრივი კრიტერიუმების მიხედვით და საქართველოში აკრედიტაციის ახალი მოთხოვნების შესაბამისად. **შედეგების აღწერა**ში ასევე ჩანაცვლდა შედეგების რუკაც.

IV. ჩასწორდა "მინორ" პროგრამა თავისი 8 წინაპირობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება" (იხ. დანართი 5):

I. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში**: ამოღებულ იქნა დაშვების წინაპირობის მესამე ეტაპი (დადებითი შეფასება საბაკალვრო პროგრამის ერთდროულად სამ საგანში ...)

II. **საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი**: გახდა მანანა ხაჩიძე (კობა გელაშვილის ნაცვლად)

III. შეიცვალა პუნქტები **პროგრამის მიზანი** და **შედეგების აღწერა**: ABET დარგობრივი კრიტერიუმების მიხედვით და საქართველოში აკრედიტაციის ახალი მოთხოვნების შესაბამისად. **შედეგების აღწერა**ში ასევე ჩანაცვლდა შედეგების რუკაც.

IV. ჩასწორდეს "მინორ" პროგრამა თავისი 8 წინაპირობით დანართის შესაბამისად.

დ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია საფაკულტეტო კონფერენციის ზოგიერთი დარგობრივი სექციის მუშაობის შესახებ. კერძოდ, გეოგრაფიის სექციის მუშაობა მიეძღვნება ანდრია ბენაშვილის 150 წლის იუბილეს, ხოლო მათემატიკის სექციის მუშაობა - აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის 85 წლის იუბილეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-7 საფაკულტეტო კონფერენციის გეოგრაფიის სექციის მუშაობა მიეძღვნას ანდრია ბენაშვილის 150 წლის იუბილეს, ხოლო მათემატიკის სექციის მუშაობა მიეძღვნას აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის 85 წლის იუბილეს.

ე) **მოისმინეს:** ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა ისაუბრა გარდამავალი პერიოდის დოქტორანტ მარიამ ტარასაშვილის შესახებ. მარიამის სადოქტორო ნაშრომი თავისი შინაარსით ინტერდისციპლინურია, მაგრამ მ.ტარასაშვილი ბიოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტია თანახმად უნივერსიტეტის რექტორის N77/01-04 01.02.2008 ბრძანებისა, ამიტომ დაცვის შემდეგ ბიოლოგიის დოქტორის ხარისხი უნდა მიენიჭოს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.გამყრელიძემ, ნ.კოშორიძემ, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა, ო.მუკბანიანმა და სხვებმა.

პროფესორი ა.გამყრელიძე დაინტერესდა დისერტაციის თემით, რაზეც მიიღო პასუხი, რომ დისერტაცია ეეხება ასტრობიოლოგიის საკითხებს, რომელიც ამავე დროს ემიჯნება ფიზიკასა და ქიმიას.

პროფესორმა ნ.შათაშვილმა შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ მ.ტარასაშვილი გარდამავალი პერიოდის დოქტორანტია და უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება, რომ ასეთი დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის უზრუნველყონ სათანადო დაცვის კომისიის შექმნა.

პროფესორმა ნ.კოშორიძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტმა აღნიშნული ნაშრომი 2-3 წლის წინ წარუდგინა ბიოლოგიის სადოქტორო საბჭოს. მაშინ იქ განხილული საკითხები არ შეესაბამებოდა ბიოლოგიის თემატიკას. შემდეგ დოქტორანტმა გადაამუშავა ნაშრომი და ხელახლა წარუდგინა დაცვის კომისიას.

პროფესორი ა.გამყრელიძემ ეჭვქვეშ დააყენა ასტრობიოლოგიაში კომპეტენტური დაცვის კომისიის შექმნის და, შესაბამისად, დისერტაციის დაცვის შესაძლებლობა.

პროფესორმა ო.მუკბანიანმა გაიხსენა, რომ აღნიშნულმა დოქტორანტმა ამ თემაზე მუშაობა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის ფარგლებში დაიწყო (ხელმძღვანელი აკად. ნ.ალექსიძე). მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ბიოლოგიის დეპარტამენტმა აიღოს თავის თავზე დაცვის კომისიის შექმნა.

პროფესორებმა ნ.კოშორიძემ და ნ.დორეულმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ის პოზიცია, რომ ბიოლოგიის დეპარტამენტს არ უნდა ჰქონდეს კომისიის შექმნის ვალდებულება, რადგან დისერტაციის თემატიკა სცილდება ბიოლოგიის ფარგლებს.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა თ.თადუმაძემ, მ.ხაჩიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება, რომ ბიოლოგიის მუდმივმოქმედმა სადისერტაციო დარგობრივმა კომისიამ უკვე განიხილა დისერტაცია და მიიღო გადაწყვეტილება, რომ წარმოდგენილი ნაშრომი სრულად არ შეესაბამება ბიოლოგიის თემატიკას. ამიტომ ახლა ვიხილავთ ინტერდისციპლინური დაცვის კომისიის შექმნის საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ შეიქმნას ინტერდისციპლინური დაცვის კომისია, რომელიც იმსჯელებს გარდამავალი პერიოდის დოქტორანტ მ.ტარასაშვილისთვის ბიოლოგიის დოქტორის ხარისხის მინიჭებაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 9.

დაადგინეს: შეიქმნას ინტერდისციპლინური დაცვის კომისია, რომელიც იმსჯელებს გარდამავალი პერიოდის დოქტორანტ მ.ტარასაშვილისთვის ბიოლოგიის დოქტორის ხარისხის მინიჭებაზე.

ვ) მოისმინეს: პროფესორ დ.კერესელიძის ინფორმაცია სახელობითი აუდიტორიის შესახებ. ბატონმა დავითმა მოკლედ ისაუბრა აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის მოღვაწეობისა და მისი დამსახურებების შესახებ საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში (ის. დანართი 6). დასასრულ, მან წინადადება შემოიტანა, რომ აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის ღვაწლის აღსანიშნავად პირველი კორპუსის # 314 აუდიტორიას მიენიჭოს მისი სახელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის წინადადება თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რომ პირველი კორპუსის # 314 აუდიტორიას მიენიჭოს აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.

გაიმართა ღია კენჭისყრა. მომხრე - 26, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0,

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ-ში გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა ღვაწლის უკვდავსაყოფად და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვა-აღორძინების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამდგენი კომისიის წინაშე, რომ პირველი კორპუსის # 314 აუდიტორიას მიენიჭოს აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.

ზ) მოისმინეს: სტუდენტ ლუკა ონიანის ინფორმაცია. მან საბჭოს წევრებს გააცნო სტუდენტების მოთხოვნა, რომ შუალედური გამოცდების გრაფიკის გადატვირთულობის გამო, მათ დაეთმოს ორი კვირა ნაცვლად ერთისა, როგორც ეს არის იურიდიულ ფაკულტეტზე.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა ნ.შათაშვილმა, თ.დავითაშვილმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, ასეთი ცვლილება ავტომატურად დააყენებს დღის წესრიგში სხვა სერიოზულ ცვლილებებს, ამიტომ ასე მარტივად ვერ გადაწყდება.

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად და ფაკულტეტის საბჭომ გამოთქვა მზადყოფნა წამოჭრილი საკითხის შემდგომი განხილისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი